საექსპერტო დასკვნა

IV კლასს დაქვემდებარებული, სამედიცინო დაწესებულების შენობის პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს შესაბამისობაზე.
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №17 (ს/კ 01.10.10.003.005).
დამკვეთი: შპს "სითი და კო".
პროექტის შემსრულებელი – შპს "სითი და კო".
დირექტორი – ი. ანთაძე.
პროექტის ავტორი არქიტექტორი – ე. ედიშერაშვილი.
ინსპექტორი – არქიტექტორი ქ. მაისურაძე.

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

განმარტებითი ბარათი

დაგეგმარების საფუძველი და მიზანი:

პროექტი მიზნად ისახავს სამედიცინო დაწესებულებისთვის შენობის პროექტის კორექტირებას მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების მიხედვით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. #17, 3383 კვ.მ ფართობი. ნაკვეთს სამხრეთით ესაზღვრება სარაჯიშვილის ქ, აღმოსავლეთით ჩიხი, ხოლო ჩრდილოეთ და დასავლეთ მხარეს სხვა კერძო მიწის ნაკვეთები. ტერიტორიაზე ვრცელდება სპეციალური ზონა 1, (სპეც-1) ტერიტორია ხასიათდება რთული რელიეფით. აბსოლუტური ნიშნულები ზღვის დონიდან 455.68-დან 459.07-მდე მერყეობს. დღეის მდგომარეობით მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული პროექტის მიხედვით (ბრძანება #6608338; თარიღი10/08/2023) მოწყობილია 0.00, 3.15 და 6.30 ნიშნულის ფილები. მიწის ნაკვეთზე განთავსებულია არსებული შენობა საკადასტრო გეგმის მიხედვით #4/1.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

პროექტის კორექტირება ითვალისწინებს შენობა #1-ის (კლინიკა) სიმაღლეში გაზრდას. იმ სართულებზე, რომლის რ.ბ. კონსტრუქცია ჯერ არ მოწყობილა, ფილიდან ფილამდე მანძილი გაიზრდება 0,4 მ-ით, ხოლო ლიფტის სამანქანე სართულის სიმაღლე შემცირდება 0,6 მ-ით, რაც მთლიანობაში იწვევს შენობის სიმაღლის გაზრდას 1 მ-ით. მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის ნახაზის მიხედვით სიმაღლის ასეთი ცვლილება შესაძლებელია, ასევე ვინაიდან ყველაზე მაღალი ექსპლუატირებადი იატაკი არის +20.50 ნიშნულზე, არ ხდება სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევა და არ იწვევს გეგმარების ცვლილებას. რაც შეეხება შეთანხმებული პროექტის მიხედვით შენობა #2 (საქვაბე და წყლის რეზერვუარი) აღარ აშენდება, ხოლო საქვაბე და რეზერვუარი განთავსდება საკადასტრო გეგმის მიხედვით არსებულ შენობა #4/1-ში, რომლის რეკონსტრუქციის პროექტიც ატვირთულია საიტზე განცხადების ნომრით #AR11012973.

პროექტირების შედეგად ტერიტორიაზე განთავსდება სამი შენობა-ნაგებობა. შენობა #1 - ექვს სართულიანი ძირითადი შენობა, შენობა #2 (არსებული შენობა 4/1) - ერთ სართულიანი შენობა და ნაგებობა #3 - მსუბუქი კონსტრუქციის დაცვის ჯიხური. შენობა #1-ში განთავსდება

ფსიქო-ნარკოლოგიური კლინიკისთვის საჭირო სხვადასხვა ოთახები. შენობა აღჭურვილია ორი კიბითა და ორი ლიფტით, რომელშიც თავისუფლად თავსდება საკაცე. საპროექტო შენობების არქიტექტურული 0,00 ნიშნული შეესაბამება აბსოლუტურ +456,50 ნიშნულს. შენობის ყველა ღიობთან შესაძლებელია სახანძრო-სამაშველო მანქანის მიდგომა. შენობის ფასადის ძირითადი ნაწილი მოპირკეთება დეკორატიული ლესვით ვარდისფერსა და ოქროსფერში, შემოსილია ასევე ორი ფერის კომპოზიტური პანელით და გამოყენებულია ალუმინის დეკორატიული ვერტიკალური პროფილები. ფანჯრის ღიობები შევსებულია თეთრი მეტალოპლასტმასის ფანჯრებით, რომელთა ნაწილზე მეტალის დამცავი ჟალუზია მოწყობილი. შენობა #2-ში (არსებული შენობა #4/1 განთავსებულია ტექნიკური შენობა, ხანძარქრობისთვის საჭირო წყლის რეზერვუარი, სატუმბო სადგური და საქვაბე.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობის ძირითადი სტრუქტურა არის რკინაბეტონის ფილაზე დაფუძნებული სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისგან, კოჭებისგან, სართულშუა გადახურვის ფილისა და სახურავის ფილისგან. ლიფტისა და კიბის უჯრედები მოქცეულია გაძლიერებული რკინაბეტონის კედლებში, სტრუქტურული თვალსაზრისით საჭირო ადგილებში შენობას მთელს სიმაღლეზე მიყვება გაძლიერებული ბეტონის სიხისტის დიაფრაგმები. კიბეები მოწყობილია ასევე გაძლიერებული ბეტონით.

შენობა აღჭურვილია ხანძრისაგან დაცვის სიტემებით:

მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, ხელის ცეცხლმაქრებითა და სახანძრო ონკანებით. მიწის ნაკვეთზე მოწყობილია სახანძრო მანქანის სამოძრაო გზა და მოედანი, ასევე სახანძრო მანქანის მისაერთებელი ჰიდრანტი.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

საპროექტო შენობისა და მიწის ნაკვეთის დაგეგმარებისთვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება 41_ტექნიკური რეგლამენტი "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები".

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (შენობა #1):

საერთო ფართობი (კვ.მ.) - 6049,01
საოფისე ფართობი (კვ.მ.) - 267,76
საზაფხულო ფართობი (კვ.მ.) - 247,20
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ.) - 1488,70
დამხმარე ფართობი (კვ.მ.) - 370,82
სასწავლო აუდიტორიის ფართობი (კვ.მ.) - 267,60
პალატების ფართობი (კვ.მ.) - 2388,14
საორდინატორო და საოპერაციო ფართობი (კვ.მ.) - 1018,79

განმარტება პროექტში განხორციელებულ ცვლილებებზე:

კორექტირების შედეგად ძირითადი ცვლილებები არის გარკვეულ ადგილებში დერეფნების გაგანიერება და ამის შედეგად მომიჯნავე ოთახების კედლების მცირე გადაადგილებები. აღნიშნული ცვლილებ არ ახდენს გავლენას "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"-ს და "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე. პირიქით, გაგანიერებული დერეფნები და გასასვლელები მეტად აკმაყოფილებს "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"-ს და "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს.

წარმოდგენილ პროექტში **6.30 ნიშნულის** ზემოთ თითოეული სართულის სიმაღლე გაიზარდა **40 სანტიმეტრით**. შესაბამისად კიბის უჯრედებში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ:

გ – დ ღერძებში მდებარე კიბის უჯრედს დაემატა **2 საფეხური**, რის შედეგადაც ბაქნები შენობის იატაკის დონეზე შემცირდა **1.90 მეტრამდე**, სადაც იოლად თავსდება თავისუფალი სივრცე შშმ პირთათვის **760 X 1300 მმ-ზე,** რაც აკმაყოფილებს **"მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"-ს 303 ქვეთავის** მოთხოვნებს, ხოლო კიბის მარშის სუფთა ზომა **1.2 მეტრია**. შუალედური ბაქნის სიგანე **1.3 მეტრია,** რაც ასევე აკმაყოფილებს **"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს 1007.3 და 1009.4** ქვეთავების მოთხოვნებს. კიბის საფეხურების ზომა **150 X 300 მმ** შესაბამისობაშია მოთხოვნილ ნორმებთან.

ლ – კ ღერძებში მდებარე კიბის უჯრედი **5.8 მეტრის** სიგრძისაა, სადაც გათვალისწინებულია თავისუფალი სივრცე შშმ პირთათვის. ბაქნების სიგანე დარჩა უცვლელი **(1.2მ; 1.3მ),** ხოლო მარშის სუფთა ზომა **1.2 მეტრია**, რაც ასევე აკმაყოფილებს მოთხოვნებს. როგორც აღინიშნა, საფეხურების რაოდენობა არ შეცვლილა, შეიცვალა საფეხურების სიმაღლე **150 მმ-დან 161 მმ-დე**. აღნიშნული კიბის მოყვანილი პარამეტრები ასევე აკმაყოფილებს **“მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები”-ს და “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები”-ს.**

1) ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად დამუშავებულ გეგმებზე, შენიშვნის გათვალისწინებით, შესწორებულია და დატანილია 2-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის პირობითი აღნიშვნა.

2) აღნიშნული ტერასა, რომელიც განთავსებულია შშმ პირთა სამკურნალო კლინიკის სახურავზე და გამოიყენება არა ზოგადად თავშეყრის დანიშნულებით, არამედ, შშმ პირთა ტერასაზე გასაყვანად მკურნალობა-დასვენების მიზნით, როგორც შშმ პირთა სამკურნალო კლინიკის ნაწილი მინიჭებული აქვს **დწ-2** ჯგუფის დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **3.7**, როგორც დღიური მოვლა-მზრუნველობისთვის განკუთვნილი ფართობი, **1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად.

3) გაუგებარია შენიშვნა შენობიდან გამოსასვლელების თაობაზე, რადგან არც ერთი არ ბრუნდება შენობაში, რაზეც მოგახსენებთ, რომ შენობის ოთხი გასასვლელიდან სამი (თ–ი, კ–ლ, 3–2 ღერძებში) გადის გზა-დერეფნის, ხოლო ერთი (ა–ბ ღერძებში) ვესტიბიულის გავლით, რომლის ფართობი გამოყენებულია მხოლოდ გასასვლელ საშუალებად, გადის პირდაპირ შენობის გარეთ და უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს, რაც დასაშვებია **1027.1 ქვეთავის, 1 და 2 გამონაკლისების** მიხედვით. შენობის ყველა ნაწილი დაცულია ავტოსაშხეფი სისტემით, შესაბამისად, შენობიდან გამოსასვლელის დონეზე შიგა გასასვლელის გზა-კიბიდან გამავალი გზა-დერეფნები და ვესტიბიული მთლიანად დაცულია ავტოსაშხეფი სისტემით და **1**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლებით, რომლებშიც მოწყობილია

20 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კარებები, **716.5.3 ქვეთავის** თანახმად, ხოლო კიბის უჯრედები დაცულია **2-**საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლებით და მასში მოწყობილი 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კარებებით, **716.5 ცხრილის** შესაბამისად.
გთხოვთ განგვიმარტოთ რომელი გამოსასვლელი ბრუნდება შენობაში.

<u>ძირითადი ნაწილი:</u>

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6) მისაწვდომობის შეფასება;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8) სახურავის ანაწყობების შეფასება;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

1) დაკავებულობების და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილია სამედიცინო დაწესებულების შენობის პროექტი ექვსი მიწის დონის ზედა სართულით.
პროექტში გამოყენებულია **თავშეყრის, საქმიანი, დაწესებულებითი, სასაწყობო** და **დამხმარე** ჯგუფის დაკავებულობები, რომლებიც კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **303**, **304**, **308**, **311** და **312 ქვეთავებს.**

<u>პირველ სართულზე</u> (0.00 ნიშნ.) განთავსებულია: **სქ, დწ-2, სწ-1** და **დს** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **561.28 მ^2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=53**. მათ შორის:

<u>მიმღები, აფთიაქი, საპროცედურო, ლაბორატორიის, დიაგნოსტიკის, ექიმის და დაცვის ოთახები</u>, **304.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **352.16 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=38**;

<u>პალატები</u>, **308.4 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **დაწესებულებითი (დწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **73.28 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **11.2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=8**;

<u>არქივი, მედიკამენტების საცავი და სამეურნეო სათავსები</u>, **311.2 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **83.36 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=5**;

<u>მორგი და დამხმარე სათავსები</u>, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **52.48 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**;

მეორე სართულზე (+3.15 ნიშნ.) განთავსებულია: **სქ, თვ-3, სწ-1** და **დს** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **626.31 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=192**. მათ შორის:

ადმინისტრაციის კაბინეტები, ექიმის, თერაპიის, საპროცედურო ოთახები, აუდიტორიები, სასადილო და სამზარეულო(სათავსით), როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **455.4 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და **1.4** (სასადილოსთვის) საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=92**;

საკონფერენციო დარბაზი და აუდიტორია, **303.4 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებულია, როგორც **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **133.36 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=96**;

მედიკამენტების საცავი, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **9.49 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

დამხმარე სათავსები, როგორც **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **28.06 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=3**;

მესამე სართულზე (+6.30 ნიშნ.) განთავსებულია: **სქ, დწ-2, თვ-3, სწ-1** და **დს** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **774.23 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=138**. მათ შორის:

განყ. გამგის, ექიმის, მედ. პერსონალის, რეაბილიტაციის, თერაპიის, საორდინატორო, შეხვედრების და საპროცედურო ოთახები, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **200.24 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=22**;

პალატები, როგორც **დაწესებულებითი (დწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **437.34 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **11.2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=40**;

საერთო სივრცე, **303.4 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებულია, როგორც **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **101.41 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=73**;

პირადი ნივთების სათავსო, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **4.68 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

დამხმარე სათავსები, როგორც **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **30.56 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**;

მეოთხე სართულზე (+9.45 ნიშნ.) განთავსებულია: **სქ, დწ-2, თვ-3, სწ-1** და **დს** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **765.4 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=114**. მათ შორის:

ექიმის, მედ. პერსონალის, საორდინატორო, საპროცედურო, შეხვედრების, და სამუშაო ოთახები, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **151.23 მ²,** დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=17**;

პალატები, როგორც **დაწესებულებითი (დწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **508.48 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **11.2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=46**;

საერთო სივრცე, როგორც **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **66.04 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=48**;

პირადი ნივთების სათავსო, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **4.68 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

დამხმარე სათავსები, როგორც **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **34.97 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**;

მეხუთე სართულზე (+12.60 ნიშნ.) განთავსებულია: **სქ, დწ-2, თვ-3, სწ-1** და **დს** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **792.82 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=126**. მათ შორის:

<u>განყ. გამგის, ექიმის, მედ. პერსონალის, საპროცედურო, საორდინატორო და შეხვედრების ოთახები</u>, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **155.08 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=17**;

<u>პალატები</u>, როგორც **დაწესებულებითი (დწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **508.54 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **11.2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=46**;

<u>საერთო სივრცე</u>, როგორც **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **83.94 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=60**;

<u>პირადი ნივთების სათავსო</u>, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **4.68 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

<u>დამხმარე სათავსები</u>, როგორც **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **40.58 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **29.7** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**;

მეექვსე სართულზე (+15.75 ნიშნ.) განთავსებულია: **სქ, დწ-2, თვ-3, სწ-1** და **დს** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **746.05 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=111**. მათ შორის:

<u>განყ. გამგის, ექიმის, მედ. პერსონალის, საპროცედურო, საორდინატორო და შეხვედრების ოთახები</u>, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **127.47 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=14**;

<u>პალატები</u>, როგორც **დაწესებულებითი (დწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **514.1 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **11.2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=46**;

საერთო სივრცე, როგორც **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **66.2 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=48**;

პირადი ნივთების სათავსო, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **4.68 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

დამხმარე სათავსები, როგორც **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **33.6 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **29.7** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**;

სახურავზე (+18.90 ნიშნ.) განთავსებულია ღია ტერასის ნაწილი, რომელიც გამოყენებული იქნება შშმ პირთა გასაყვანად მკურნალობა-დასვენების მიზნით, როგორც დღიური მოვლა-ზრუნვის მქონე პაციენტებისთვის განკუთვნილი **დაწესებულებითი (დწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **280.78 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **3.7** (1004.1.2 ცხრილის მიხედვით) და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=76**;

საპროექტო ტერიტორიაზე ცალკე მდგომ ტექნიკურ შენობა №2-ში განთავსებულია სახანძრო წყლის რეზერვუარი (-0.40 ნიშნ.), სატუმბო სადგური (-0.60 ნიშნ.) და საქვაბე (+2.50 ნიშნ.), რომელიც ფიზიკურადაა გამიჯნული საპროექტო შენობისგან და **312.1 ქვეთავის** მიხედვით კლასიფიცირებულია, როგორც **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **75.35 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=3**.

შემოთავაზებული დაკავებულობების ფართობების ჯამი – 4622.22 მ^2.
დაკავებულობების დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი დდ=813.

სართულზე განთავსებული თითოეული დაკავებულობის დატვირთვა გამოყვანილია, ამავე დაკავებულობების **თითოეულ სათავსოზე** გამოთვლილი დაკავებულობის დატვირთვების შეჯამებით.

დაკავებულობის ჯგუფის შერჩევა და ასევე, მათი დატვირთვის გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

საპროექტო შენობისთვის განსაზღვრულია კონსტრუქციის **I - A ტიპი** (**503 ცხრილში** მოცემული შენობის სიმაღლისა და ფართობის შეზღუდვების, **601 ცხრილში** მოცემული ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს მიმართ ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნების, **602 ცხრილში** მოთხოვნილი გარე არამზიდი კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და **721.1 ცხრილის** მიხედვით გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის ხარისხის საფუძველზე).

"წესების" მიხედვით, საპროექტო შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, **601 ცხრილის და 704.10 ქვეთავის** მიერ მოთხოვნილია **3-საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხის, რაც სრულიად არის გათვალისწინებული წარმოდგენილ პროექტში (გაძლიერებული ბეტონის კარკასი, რკინა-ბეტონის კოლონა 500x500).
არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნების მიმართ **601 ცხრილში** მითითებულია **602 ცხრილის** მოთხოვნებთან შესაბამისობა, სადაც გარე კედლებისთვის ცეცხლმედეგობის ხარისხი **1 საათია** მოთხოვნილი. საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2-**საათს უდრის და მეტია (კედლის სისქიდან გამომდინარე), რაც სრულიად აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

პროექტის მიხედვით, იატაკის და სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), **2-საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხისაა, რაც აკმაყოფილებს **601 ცხრილის** მოთხოვნებს.

<u>კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის მიხედვით, **I- A** ტიპის კონსტრუქციის შენობაში განთავსებული დაკავებულობებისთვის, დაშვებულია შეუზღუდავი სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **6**, სიმაღლე – **18.60 მ** და ფართობი – **1441.58 მ²**; **დდ=200.**

დაწესებულებითი (დწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **5+**ტერასა, სიმაღლე – **15.45 მ** და ფართობი – **2322.52 მ²**; **დდ=262.**

თავშეყრის (თვ-3) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **5**, სიმაღლე – **15.45 მ** და ფართობი – **450.95 მ²**; **დდ=325.**

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **6**, სიმაღლე – **18.60 მ** და ფართობი – **111.57 მ²**; **დდ=10.**

დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **6**, სიმაღლე – **18.60 მ** და ფართობი – **220.25 მ²**. **დდ=13.**

დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის (წყლის რეზერვუარი, სატუმბო სადგური და საქვაბე, ცალკე მდგომ ტექნიკურ შენობა №2-ში): სართული – **2**, სიმაღლე – **6.10 მ** და ფართობი – **75.35 მ²**; **დდ=2.**

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა 6-სართულიანია მიწის ზემოთ, სიმაღლით – **22.05 მ**, მიწის დონის ზემოთ ბოლო იატაკის ნიშნულით **+15.75** და საერთო ფართობით **6053.53 მ²**.

<u>წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ **503-ე ცხრილის** მოთხოვნებს.</u>

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

როგორც აღინიშნა, შენობა მიწის დონის ზემოთ 6-სართულიანია. შენობაში მოწყობილია ორი ლიფტი და ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. გზა-კიბეები ერთმანეთს უკავშირდება გზა- დერეფნით ყველა სართულზე, ბოლო სართულიდან ორივე გზა-კიბე გრძელდება სახურავის ბრტყელ ზედაპირამდე და სრულდება კიბის უჯრედის ამოსასვლელით (+18.90 ნიშნ.). კიბის უჯრედების კარებებს დაყენებული აქვს თვითჩამკეტი მოწყობილობები თავისი შემამჭიდროებლებით. კარებების ცეცხლმედეგობის ხარისხი 90 წთ, **716.5 ცხრილის** შესაბამისად.

პირველ სართულს (**0.00** ნიშნულზე) აქვს **5** გასასვლელის გზა-კარი. გასასვლელებს შორის გამმიჯნავი მანძილი **42.5 მ**-ია, რაც შენობის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის (68.7 მ) ნახევარზე მეტია, **1015.2.1 ქვეთავის** შესაბამისად.

შენობის ყველა ნაწილი დაცულია ავტოსაშხეფი სისტემით, შესაბამისად, შენობიდან გამოსასვლელის დონეზე შიგა გასასვლელის გზა-კიბიდან გამავალი გზა-დერეფნები და ვესტიბიული მთლიანად დაცულია ავტოსაშხეფი სისტემით და **1**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლებით. ხუთი გასასვლელიდან სამი (თ–ი, კ–ლ, 3–2 ღერძებში) გადის გზა-დერეფნის, ერთი (ა–ბ ღერძებში) ვესტიბიულის გავლით, რომლის ფართობი გამოყენებულია მხოლოდ გასასვლელ საშუალებად, ხოლო ერთი (დ–გ ღერძებში) კიბის უჯრედიდან პირდაპირ შენობის გარეთ და უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს, რაც დასაშვებია **1027.1 ქვეთავის, 1 და 2 გამონაკლისების** მიხედვით.

საპროექტო შენობის **ა – მ** ფასადის მხრიდან, საიდანაც შენობას სამი შესასვლელი აქვს, გათვალისწინებულია **8 %-**ანი დახრის პანდუსის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს **შშმ** პირის შენობასთან მისვლის, შესვლის და გამოსვლის შესაძლებლობას სამივე შესასვლელიდან, რაც აკმაყოფილებს **1103.2.3 ქვეთავის** მოთხოვნას.

მეორე–მეექვსე სართულები (+3.15, +6.30, +9.45, +12.60 და +15.75 ნიშნ.) წარმოდგენილია ორი გასასვლელის გზა-კიბით. გასასვლელებს შორის გამმიჯნავი მანძილი **38.4 მ-**ია, რაც შენობის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის (68.7 მ) ნახევარზე მეტია და აკმაყოფილებს **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნას.

სახურავის ტერასა (+18.90 ნიშნ.) წარმოდგენილია ორი გასასვლელის გზა-კიბით, რომელთა შორის გამმიჯნავი მანძილი **37 მ-**ია, რაც შენობის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის (68.7 მ) ნახევარზე მეტია და აკმაყოფილებს **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნას.

შენობიდან გამოსასვლელები უზრუნველყოფს საზოგადოებრივ გზასთან პირდაპირ და დაუბრკოლებელ მისადგომს, **1027.5 ქვეთავის** შესაბამისად.

1016.2 ცხრილის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, <u>ავტომატური საშხეფი სისტემით,</u> განსაზღვრულია:

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **90** მეტრი;
დაწესებულებითი (დწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის **60** მეტრი;
თავშეყრის (თვ-3) ჯგუფის დაკავებულობისთვის **75** მეტრი;
სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის **75** მეტრი;
დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის **120** მეტრი;

ხოლო პროექტით წარმოდგენილია:

დაწესებულებითი (დწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის **24** მეტრი;
საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **43** მეტრი;
თავშეყრის (თვ-3) ჯგუფის დაკავებულობისთვის **21** მეტრი.

<u>გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

საპროექტო შენობის გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად. თითოეული გზა-კიბის მინიმალური სიგანე (1.1 მ) განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (7.6 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 1.2 მეტრი სიგანის გზა-კიბე, რაც შეესაბამება მოთხოვნილს და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისათვის. კიბის საფეხურის თარაზული სიღრმის ზომა **30 სმ**-ია, შვეული სიბრტყისა კი – **15 სმ.** გზა-კიბეები აკმაყოფილებენ **1009.7**, **1009.8** და **1009.15 ქვეთავის** მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით. კიბის უჯრედები დაცულია **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლებით და მასში მოწყობილი 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კარებებით, **716.5 ცხრილის** შესაბამისად.

გზა-კიბეებში შემავალი და მიწისპირა სართულზე შენობიდან გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან **1009.3.1.1 ქვეთავის** მიხედვით, გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი მოეთხოვება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი გზა-დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებენ ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-დერეფნები დაცულია **1**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლებით და მასში მოწყობილი 20 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კარებებით, **716.5.3 ქვეთავის** შესაბამისად. დერეფნის მინიმალური სიგანე (1.2 მ) განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** წარმოდგენილი პროექტის მიხედვით

გათვალისწინებულია **1.2**-დან **3.2** მ-მდე სიგანის გზა-დერეფნები, რაც შეესაბამება **1018.2 ცხრილის** მოთხოვნას.

შენობიდან გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე **(82 სმ)** განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავით** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობის გასასვლელი გზა-კარის მინიმალური სიგანე **0.82** მეტრია, რაც შეესაბამება **1008.1.1 ქვეთავში** განსაზღვრულ გზა-კარის ზომას.

შენობიდან გამოსასვლელების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს **1027.2 ქვეთავის** მოთხოვნას.

<u>გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

ნ) მისაწვდომობის შეფასება.

1104.1 ქვეთავის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით, გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მისაწვდომობას.

საპროექტო შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ყველა მოთხოვნას (დეტალურად იხ. საექსპერტო დასკვნა ტექნიკურ რეგლამენტთან – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“).

<u>შენობის ყველა ნაწილი უზრუნველყოფილია მისაწვდომობით და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2-საათს** უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მასალიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით (დაუცველი, საშხეფებით) წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ა – მ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **13.8** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **38 %.**

მ – ა ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **10.6** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **11 %.**

1 – 4 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9.2** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **12 %.**

4 – 1 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **4.49** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **45 %**, ხოლო წარმოდგენილია **10 %.**

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე, გარე კედლის ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა) **2-**საათიანი ცეცხლმედეგობის

ხარისხისაა და შეესაბამება **601 ცხრილში I-A** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა, გადახურულია ბეტონის სახურავის ბურულით, რომელიც **1505.2 ქვეთავის** მიხედვით **A** კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება და ამავე ქვეთავის თანახმად ტესტირების დროს უძლებს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებას, რომლის გამოყენებაც ნებადართულია ყველა ტიპის შენობაზე ან ნაგებობაზე.
ბეტონის სახურავის ბურულებზე ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლის ზედა ბურულების გადაბმების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილების დასახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება **1503.2** ქვეთავის მოთხოვნებს.

1009.16 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობის ბოლო სართულიდან ორივე გზა-კიბე გრძელდება სახურავის ბრტყელ ზედაპირამდე და სრულდება კიბის უჯრედის ამოსასვლელით (+18.90 ნიშნულზე).

შენობის <u>პარაპეტები</u> აგებულია **705.11.1 ქვეთავის** მოთხოვნების გათვალისწინებით. პარაპეტის სიმაღლე **1.0** მეტრია, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება საყრდენი კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხს.

<u>სახურავის ანაწყობი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობაში წარმოდგენილი დწ-2, სქ, თვ-3, სწ-1 და დს დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს წესების **707.3.10 ცხრილის** მოთხოვნებს.

გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი წარმოდგენილია **2 საათი, 1009.3.1.2 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად.

გასასვლელის გზა-დერეფნების შემომზღუდავი ცეცხლმედეგობის ხარისხი წარმოდგენილია **1** საათი, **1023.3 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად.

ლიფტის შახტა, ასევე, შენობაში არსებული ყველა შახტა შემოზღუდულია **2-საათიანი** ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება მოთხოვნებს.

<u>ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

წესების **მე-9 თავის** მიხედვით, საპროექტო შენობის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია შემდეგი ხანძრისაგან დაცვის აქტიური სისტემები:

903.2.6 ქვეთავის შესაბამისად, ავტოსაშხეფი სისტემა მოწყობილია მთელ შენობაში.

904 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემების მოწყობას არ საჭიროებს.

905 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო მილდგარების სისტემები მოწყობილია კიბის უჯრედთან ყველა სართულის დერეფანში.

906.1 ქვეთავის მიხედვით, ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია ყველა სართულის დერეფანში.

907 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები მოწყობილია მთელ შენობაში.

908 ქვეთავის მიხედვით, ვინაიდან, საპროექტო შენობის დაკავებულობები არ შეიცავს საწვავზე მომუშავე დანადგარებს, რომელიც უნდა აღიჭურვოს მხუთავ აირზე რეაგირების განგაშის ერთბლოკიანი მოწყობილობით, შენობა საავარიო განგაშის სისტემების მოწყობას არ საჭიროებს.

909 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა მთლიანად აღჭურვილია კვამლის საკონტროლო სისტემებით. კიბის უჯრედებში და ლიფტებში

გათვალისწინებულია მექანიკური განიავების და დაწნევის სისტემების მოწყობა, ხოლო დერეფნებში – მექანიკური განიავების სისტემა.

912.2 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობის გარედან დაყენებულია სახანძრო ჰიდრანტი.

913.2.1 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო წყლის რეზერვუარის და სატუმბო სადგურის მოწყობა გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიაზე მდებარე ტექნიკური შენობა №2-ის სარდაფში -0.40 და -0.60 ნიშნულებზე.

საპროექტო შენობის საევაკუაციო გზებზე გათვალისწინებულია ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა. გენერატორის განთავსება გათვალისწინებულია საპროექტო შენობის ტერიტორიაზე.

<u>ხანძრისაგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **1602.1 ცხრილის** მიხედვით, საპროექტო შენობის სქ, თვ, დწ-2, სწ-1 და დს დაკავებულობებისთვის. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

პირველ სართულზე (**0.00** ნიშნ.)

სქ, დწ-2, სწ-1 და **დს** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=53):

- 11 უნიტაზი და 11 ხელსაბანი;
- 20 სამომსახურეო ნიჟარა;
- 2 სასმელი წყლის ფანტანი.

მეორე სართულზე (+**3.15** ნიშნ.)

სქ, თვ-3, სწ-1 და **დს** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=192):

- 10 უნიტაზი და 8 ხელსაბანი;
- 8 სამომსახურეო ნიჟარა;
- 2 სამზარეულოს ნიჟარა;
- 2 სასმელი წყლის ფანტანი.

მესამე სართულზე (+**6.30** ნიშნ.)

სქ, დწ-2, თვ-3, სწ-1 და **დს** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=138):

- 25 უნიტაზი, 25 ხელსაბანი, 21 შხაპი;
- 11 სამომსახურეო ნიჟარა;
- 2 სასმელი წყლის ფანტანი.

მეოთხე სართულზე (+**9.45** ნიშნ.)

სქ, დწ-2, თვ-3, სწ-1 და **დს** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=114):

- 32 უნიტაზი, 32 ხელსაბანი, 26 შხაპი;
- 11 სამომსახურეო ნიჟარა;
- 2 სასმელი წყლის ფანტანი.

მეხუთე სართულზე (+12.60 ნიშნ.)

სქ, დწ-2, თვ-3, სწ-1 და **დს** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=126):

- 30 უნიტაზი, 30 ხელსაბანი, 27 შხაპი;
- 7 სამომსახურეო ნიჟარა;
- 1 სამზარეულოს ნიჟარა;
- 2 სასმელი წყლის ფანტანი.

მეექვსე სართულზე (+15.75 ნიშნ.)

სქ, დწ-2, თვ-3, სწ-1 და **დს** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=111):

- 34 უნიტაზი, 34 ხელსაბანი, 31 შხაპი;
- 8 სამომსახურეო ნიჟარა;
- 1 სამზარეულოს ნიჟარა;
- 2 სასმელი წყლის ფანტანი.

<u>წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით</u>.

12) ლიფტების შეფასება.

საპროექტო შენობაში მოწყობილია წესების მე-**17 თავის** მიხედვით განსაზღვრული <u>ორი ლიფტი</u>.

ლიფტები აკმაყოფილებს **1702.4 ქვეთავის** მოთხოვნას, რომელიც ეხება ლიფტის კაბინაში საკაცის შეტანის შესაძლებობას და ემსახურება ყველა სართულს.

<u>ლიფტის შახტის ზომებია</u> 2.35 მ x 2.80 მ, <u>ხოლო კაბინის</u> – 1.93 მ x 2.48 მ.

ლიფტის შახტაში გათვალისწინებულია მექანიკური განიავების და დაწნევის სისტემების მოწყობა **909.21 ქვეთავის** შესაბამისად.

<u>ლიფტის მოწყობასთან დაკავშირებით მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

ვინაიდან, საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით, აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და სამუშაო ნახაზები განსახილველად უნდა წარედგინოს სისტემის დაყენებამდე.

დასკვნა:

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით („საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №17 (ს/კ 01.10.10.003.005) ტერიტორიაზე განთავსებული სამედიცინო დაწესებულების შენობის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე



10.02.2024 წ.



Georgia IDENTITY CARD პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO

სახელი / FIRST NAME
ქართლოს
KARTLOS

გვარი / LAST NAME
მაისურაძე
MAISURADZE

მოქ. / CIT: GEO
სქესი / SEX: მმ / M
პირადი No / PERSONAL No: 01021006049

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH: 26.02.1959
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY: 25.06.2026

ბარათის No / CARD No: 15ID21055

ხელმოწერა / SIGNATURE

დიპლომი

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს
შალვას ძე მაისურაძეს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის
პოლიტექნიკური ინსტიტუტში
და 1987 წელს დაამთავრა
აღნიშნული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ.
4 ივლისის გადაწყვეტილებით
ქ.შ. მაისურაძეს მიენიჭა
არქიტექტორის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
ბ.ა.
რექტორი
მდივანი

ქალაქი თბილისი 1987 წ. 28 x

სარეგისტრაციო № 3154

Грузинский из.

ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе
Картлосу Шалвовичу
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1987 году окончил полный курс
названного
института
по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „4“ июля 1987 г.
Маисурадзе К.Ш.
присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П. Город Тбилиси „28“ x 1987 г.

Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

სამუშაო გამოცდილება

პირადი მონაცემები	**სახელი:** ქართლოს **გვარი:** მაისურაძე **დაბ. თარიღი:** 26 თებერვალი1959 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	**ფაქტ. მისამართი:** ქ. თბილისი, თუმანიანის შეს. №4 **მობ.:** **593 328 322** **ელ. ფოსტა:** kartlosm@gmail.com
განათლება	1978 – 1987 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა – არქიტექტურა
ენები	ქართული - მშობლიური რუსული - სრულად
სამუშაო პროგრამები	AutoCAD
სამუშაო გამოცდილება	1984-1985 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** თბილქალაქპროექტი **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** ტექნიკოსი 1987-1992 **ორგანიზაციის დასახელება: „ტექტონი"** **ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება, მშენებლობა** **პოზიცია:** არქიტექტორი 1987-1992 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** „საკოლმშენსახპროექტი" **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** არქიტექტორი 1993-1994 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამსახური „დიპსერვისი"-ს საპროექტო ორგანიზაცია „დიპდიზაინი". **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი

სამუშაო გამოცდილება	1994-2000 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „სმარტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** კომპიუტერული გრაფიკა **პოზიცია:** არქიტექტორი 2000-2004 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „გიორგაძე, გიორგაძე და პარტნიორები“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 2006-2007 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „არქიტექტონიკა“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2007-2017 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „მოდულიონი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2013 წ - დან **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „ეკლექტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2017 წ - დან საქართველოს მთავრობის დადგენილება **№41**, ტექნიკური რეგლამენტი **"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"**-თან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი 2021 წ - დან ტექნიკური რეგლამენტი **"მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი"**-სთან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი 2023 წ - დან **„შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ"** საქართველოს კანონით გათვალისწინებული დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი

საექსპერტო დასკვნა

ტექნიკური რეგლამენტის – "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" დადგენილებასთან შესაბამისობაზე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს საავადმყოფოს შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის შეფასებას ტექნიკური რეგლამენტის – "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" – მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №732).

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №17 (ს/კ 01.10.10.003.005).
დამკვეთი – შპს "სითი და კო".
დირექტორი – ი. ანთაძე.
პროექტის შემსრულებელი – შპს "სითი და კო".
პროექტის ავტორი – არქიტექტორი ე. ედიშერაშვილი.

ინსპექტორი – არქიტექტორი ქ. მაისურაძე.

განმარტებითი ბარათი

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. #17, 3383 კვ.მ ფართობი. ნაკვეთს სამხრეთით ესაზღვრება სარაჯიშვილის ქ, აღმოსავლეთით ჩიხი, ხოლო ჩრდილოეთ და დასავლეთ მხარეს სხვა კერძო მიწის ნაკვეთები. ტერიტორიაზე ვრცელდება სპეციალური ზონა 1, (სპეც-1) ტერიტორია ხასიათდება რთული რელიეფით. აბსოლუტური ნიშნულები ზღვის დონიდან 455.68-დან 459.07-მდე მერყეობს. არსებული მდგომარეობით მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შენობა-ნაგებობი, რომლის დემონტაჟი შეთანხმებულია არქიტექტურის სამსახურში, ბრძანება #6413441. ტერიტორიაზე განლაგებულია 28 ძირი მრავალწლიანი ხე-მცენარე.

მიწის ნაკვეთზე იგეგმება სამედიცინო დაწესებულებისთვის შენობის აშენება. პროექტირების შედეგად ტერიტორიაზე განთავსდება სამი შენობა-ნაგებობა. შენობა #1 - ექვსსართულიანი ძირითადი შენობა ,შენობა #2 - ერთსართულიანი ტექნიკური შენობა სარდაფით და ნაგებობა #3 - მსუბუქი კონსტრუქციის დაცვის ჯიხური. შენობა #1-ში განთავსდება ფსიქო-ნარკოლოგიური კლინიკისთვის საჭირო სხვადასხვა ოთახები. შენობა აღჭურვილია ორი კიბითა და ორი ლიფტით, რომელშიც თავისუფლად თავსდება საკაცე. საპროექტო შენობების არქიტექტურული 0,00 ნიშნული შეესაბამება აბსოლუტურ +456,50 ნიშნულს. შენობის ყველა ღიობთან შესაძლებელია სახანძრო-სამაშველო მანქანის მიდგომა. შენობის ფასადის ძირითადი ნაწილი მოპირკეთება დეკორატიული ღესვით ვარდისფერსა და ოქროსფერში, შემოსილია ასევე სამი ფერის კომპოზიტური პანელის კომბინაციით,

მეტალის საფასადე ბადითა და ლესვით. ფანჯრის ღიობები შევსებულია თეთრი მეტალოპლასტმასის ფანჯრებით, რომელთა ნაწილზე მეტალის დამცავი ჟალუზია მოწყობილი. შენობა #2 განთავსებულია ტექნიკური შენობა, რომლის პირველ სართულზე განთავსებულია საქვაბე, ხოლო სარდაფში ხანძარქრობისთვის საჭირო წყლის რეზერვუარი და სატუმბო სადგურია მოწყობილი.

შენობის ძირითადი სტრუქტურა არის რკინაბეტონის ფილაზე დაფუძნებული სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისგან, კოჭებისგან, სართულშუა გადახურვის ფილისა და სახურავის ფილისგან. ლიფტისა და კიბის უჯრედები მოქცეულია გაძლიერებული რკინაბეტონის კედლებში, სტრუქტურული თვალსაზრისით საჭირო ადგილებში შენობას მთელს სიმაღლეზე მიყვება გაძლიერებული ბეტონის სიხისტის დიაფრაგმები. კიბეები მოწყობილია ასევე გაძლიერებული ბეტონით.

მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, ხელის ცეცხლმაქრებითა და სახანძრო ონკანებით. მიწის ნაკვეთზე მოწყობილია სახანძრო მანქანის სამოძრაო გზა და მოედანი, ასევე სახანძრო მანქანის მისაერთებელი ჰიდრანტი.

ძირითადი ნაწილი

ტექნიკურ რეგლამენტში – **„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“** მოთხოვნილია საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობა აღნიშნულ სტანდარტებთან შემდეგ ნაწილებში:

1) შენობების ბლოკები;
2) მისაწვდომი სვლაგეზები;
3) ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები;
4) წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები;
5) საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები;
6) სპეციალური ოთახები და სივრცეები;
7) ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები;
8) სარეკრეაციო მისაწვდომი საშუალებები;
9) საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულები.

საპროექტო შენობა მიწის ზემოთ 6-სართულიანია და მოიცავს საქმიან, თავშეყრის, დაწესებულებით, სასაწყობო და დამხმარე ფართებს. საექსპერტო დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში შეიცავს **„სტანდარტების“** დადგენილებასთან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) შენობების ბლოკები (თავი 3)
2) მისაწვდომი სვლაგეზები (თავი 4);
3) ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები (თავი 5);
4) წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები (თავი 6);
5) საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები (თავი 7);
6) სპეციალური ოთახები და სივრცეები (თავი 8).

1) შენობების ბლოკები.

შენობის სართულებზე მოწყობილი იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა მასალით მოპირკეთებული და შეესაბამება **302** და **303 ქვეთავების** მოთხოვნებს.

მისაწვდომ სივრცეში გათვალისწინებულია თავისუფალი გასავლელები, რომლის სიგანე აკმაყოფილებს **T**-ს ფორმის (არაუმცირეს 1600 მმ სიგანის და 1500 მმ სიღრმის) და **წრიული** ფორმის (არაუმცირეს 1700 მმ დიამეტრის) მოსატრიალებელი სივრცეებისთვის განსაზღვრულ ზომას, **304 ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად.

იატაკის თავისუფალი სიგანე შენობის ყველა მისაწვდომ სივრცეში აკმაყოფილებს **305.3.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

თავისუფალი სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის ყველა მოწყობილობასთან აკმაყოფილებს **306 ქვეთავის** მოთხოვნებს.

მიმოსვლის ბილიკებზე გამოშვერილი საგნები პროექტით არ არის გათვალისწინებული.

<u>მისაწვდომობის დიაპაზონი და ელემენტების სამართავები შეესაბამება **308** და **309 ქვეთავების** მოთხოვნებს</u>.

2) მისაწვდომი სვლაგეზები.

მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები მოწყობილია დონეთა ცვლილების გარეშე უწყვეტად საზოგადოებრივი სივრციდან შენობის მისაწვდომ შესასვლელამდე. მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შენობაში არის **900 მმ**, ხოლო შენობის გარეთ **1200 მმ**, რაც აკმაყოფილებს „სტანდარტების“ **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის **ა – მ** ფასადის მხრიდან გათვალისწინებულია 8 %-ანი დახრის პანდუსის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომობას. გზა-კარი აკმაყოფილებს მოთხოვნებს თავისუფალი სიგანის და კართან მანევრირებისთვის თავისუფალი სივრცის მიმართ, **404 ქვეთავის** შესაბამისად.

404.2.2 ქვეთავის მოთხოვნების მიხედვით, გზა-კარის თავისუფალი ღიობი უნდა იყოს არაუმცირეს **820 მმ** სიგანის. საპროექტო შენობაში შესასვლელი გზა-კარები და ასევე, ყველა კარი, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია (მინიმალური გაბარიტული ზომებით **820X2050 მმ**), აკმაყოფილებს „სტანდარტების“ **404 ქვეთავის** მოთხოვნებს.

404.2.3.2 ცხრილის მოთხოვნების მიხედვით, თავისუფალი სივრცის ზომა ანჯამიანი კარის პერპედიკულარულად საკეტის ნაწილის მიღმა, იმ მხრიდან საიდანაც კარი იღება, გამოწევით **1500 მმ**-ია, ხოლო იმ მხრიდან სადანაც კარი იღება მიწოლით – **1300 მმ**. თითოეული ოთახის შესასვლელ კართან გათვალისწინებულია სტანდარტების **404 ქვეთავის** შესაბამისი თავისუფალი სივრცეები კართან, ასევე კარის სუფთა ღიობის ზომები (820X2050 მმ).

გზა-კარების ზღურბლი არ აღემატება დასაშვებ 13 მმ-ს, **404.2.4 ქვეთავის** შესაბამისად.

სართულებზე გადასაადგილებლად შენობაში მოწყობილია ორი ლიფტი, კაბინის შიგა ზომებით 1930X2480მმ, რომელიც შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს **407.4.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

<u>მისაწვდომი და შენობის ზოგადი სვლაგეზები შეესაბამება "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მოთხოვნებს.</u>

3) ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები

შენობაში მოწყობილია ორი შიგა გზა-კიბე, რომელიც შეესაბამება **504 ქვეთავის** მოთხოვნას. გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის 1200 მმ-ია. კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები (150 მმ) და თანაბარი სიღრმის საბიჯელები (300 მმ).

გზა-კიბეებს სახელურები ორივე მხარეს აქვს, **505 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად. შიგა გზა-კიბის განათება შეესაბამება სტანდარტების **504.9 ქვეთავის** მოთხოვნებს.

კიბის უჯრედთან მოწყობილია თავშესაფარი სივრცე ზომებით 76სმX130სმ.

<u>ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები მისაწვდომია და შეესაბამება "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მოთხოვნებს</u>.

4) წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები.

საპროექტო შენობაში განთავსებული ტუალეტის ოთახები მოწყობილია „სტანდარტების“ მე-**6 თავის** შესაბამისად, კერძოდ, გათვალისწინებულია რეგლამენტირებული თავისუფალი სივრცე შესაბამის ნაკვეთურებთან, ასევე, **T**-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, **304 ქვეთავის** შესაბამისად. ყველა სართულზე გათვალისწინებულია „ა“ ტიპის სან.კვანძების მოწყობა, კერძოდ, უნიტაზის და ხელსაბანის ფეხის ფალანგისთვის საჭირო სივრცე ნაკვეთურებთან, აკმაყოფილებს „სტანდარტების“ **604 ქვეთავის** მოთხოვნებს.

სან.კვანძებში შესასვლელი კარის გაბარიტული ზომები შეესაბამება სტანდარტით დადგენილს (820X2050 მმ), **404 ქვეთავის** შესაბამისად.

<u>საპროექტო შენობაში წარმოდგენილი წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები შეესაბამება "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მე-6 თავის მოთხოვნებს.</u>

5) საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები, რომლებიც მისაწვდომი უნდა იყოს ტექნიკური რეგლამენტის – "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მიხედვით, შეესაბამება **მე-7 თავის** მოთხოვნებს, კერძოდ:

განგაში;
ნიშნები;
ამოცნობადი გამაფრთხილებლები;
მოსმენის დამხმარე სისტემები;
ორმხრივი საკომუნიკაციო სისტემები.

702.1 ქვეთავის თანახმად, ხმოვანი და ვიზუალური განგაშისა და შეტყობინების მოწყობილობები, რომლებიც შენობის სახანძრო განგაშის სისტემის ნაწილს შეადგენენ უნდა დააყენონ 106.2.4 ქვეთავში მითითებული NFPA-72-ის შესაბამისად, ელექტროენერგია უნდა მიეწოდებოდეს კომერციული განათების და ელექტროენერგიის წყაროდან, მუდმივად უნდა იყოს მიერთებული ელექტროსისტემასთან.

703.1 ქვეთავის თანახმად, სადაც მოითხოვება ვიზუალური და ამობურცული სიმბოლოები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ერთი ნიშანი, როგორც ვიზუალური, ასევე ამობურცული სიმბოლოებით.

ვიზუალური სიმბოლოები არ უნდა დაიწეროს დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით. სიმბოლოს უმცირესი სიმაღლე 200 მმ უნდა იყოს, იატაკიდან, არაუმცირეს, 1000 მმ სიმაღლეზე უნდა განთავსდეს.

704.2 ქვეთავის თანახმად, ეტლში მჯდომისთვის მისაწვდომი საზოგადოებრივი მოხმარების ტელეფონი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თავისუფალი სივრცით.

<u>საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები შეესაბამება "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მე-7 თავის მოთხოვნებს.</u>

ნ) სპეციალური ოთახები და სივრცეები

პროექტის მიხედვით შენობაში განთავსებულ სივრცეებში შესაძლებელია გადაადგილება შეუფერხებლად, ხოლო სივრცეში ინვენტარის განთავსება გათვალისწინებულია ისე, რომ მასთან მისადგომი თავისუფალი გასავლელის ზომები აკმაყოფილებს **804 ქვეთავის** მოთხოვნებს.

შენობის ყველა ნაწილი უზრუნველყოფილია მისაწვდომობით და აკმაყოფილებს "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მოთხოვნებს.

დასკვნა:

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას. ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.10.003.005), საავადმყოფოს შენობის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე



06.06.2023 წ.





დიპლომი

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს
შვილს ძე მაისურაძეს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს ს.ს.ფედერაციის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1987 წელს დაამთავრა
ამავე ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ.
4 ივლისის გადაწყვეტილებით
ქ.შ. მაისურაძეს მიენიჭა
არქიტექტორის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ქალაქ თბილისი 1987 წ. „28“ X
სარეგისტრაციო № 3154

Грузинский гп.

ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе
Картлосу Шалвовичу
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1987 году окончил полный курс
названного
института
по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „4“ июля 1987 г.
Маисурадзе К.Ш.
присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

м. п.

Город Тбилиси „28“ X 1987 г.
Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

სამუშაო გამოცდილება

პირადი მონაცემები	**სახელი:** ქართლოს **გვარი:** მაისურაძე **დაბ. თარიღი:** 26 თებერვალი1959 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	**ფაქტ. მისამართი:** ქ. თბილისი, თუმანიანის შეს. №4 **მობ.:** **593 328 322** **ელ. ფოსტა:** kartlosm@gmail.com
განათლება	1978 – 1987 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა – არქიტექტურა
ენები	ქართული - მშობლიური რუსული - სრულად
სამუშაო პროგრამები	AutoCAD
სამუშაო გამოცდილება	1984-1985 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** თბილქალაქპროექტი **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** ტექნიკოსი 1987-1992 **ორგანიზაციის დასახელება: „ტექტონი"** **ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება, მშენებლობა** **პოზიცია:** არქიტექტორი 1987-1992 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** „საჯოლმშენსახპროექტი" **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** არქიტექტორი 1993-1994 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამსახური „დიპსერვისი"-ს საპროექტო ორგანიზაცია „დიპდიზაინი". **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი

სამუშაო გამოცდილება	1994-2000 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „სმარტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** კომპიუტერული გრაფიკა **პოზიცია:** არქიტექტორი 2000-2004 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „გიორგაძე, გიორგაძე და პარტნიორები“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 2006-2007 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „არქიტექტონიკა“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2007-2017 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „მოდულიონი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2013 წ - დან **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „ეკლექტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2017 წ - დან საქართველოს მთავრობის დადგენილება **№41**, ტექნიკური რეგლამენტი **"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"**-თან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი 2021 წ - დან ტექნიკური რეგლამენტი **"მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი"**-სთან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი